

მაია ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
maia.baramidze@bsu.edu.ge



მამია ფალავა

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
mamia.paghava@gmail.com

**არსებითი სახელის მთავარი თავისებურებები
ტაოურში**

სტატიაში განხილულია არსებითი სახელის ძირითადი თავისებურებები ქართული ენის ტაოურ დიალექტში. კერძოდ:

ა. სახელობითის ნაცვლად იხმარება წრფელობითის ფორმები: ელიასხევ არი...

ბ. ხმოვანფუძიან სახელებში სახელობითის სუფიქსია ი>დ: დედედ, თამარად...

გ. ხმოვანფუძიანებს მოთხრობითში დაერთვის -შა სუფიქსი: წუმამა...; იშვიათად – მან: ნენემან...

დ. მრავლობითს აწარმოებს -ებ, -ნ, -თ და -ნარ სუფიქსები: გურჯები, მოხუცნი, თევზარი, ხევზარი...

დასტურდება ორმაგი მრავლობითის შემთხვევებიც: კაცებთ, ქალებთ...

ე. მონაცვლეობს ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ფორმები: მელ-ი//მელა, ძენკნ-ი//ძენკნა, პეპულ-ი//პეპულა...

ვ. სალიტერატურო ქართულის კუმშვადი სახელები ტაოურში უკუმშველია: წყალები...

ზოგჯერ უკუმშველი ფუძეები შეკუმშულია: ბებრი (შდრ. ბებერი) ყოფილა.
ზ. უკვეცელია სალიტერატურო ქართულის კვეცადი სახელები: მამაძს,

ხედამ...

სახელთა ფორმანამოებაში ვლინდება ტაოურის განსხვავება სხვა სამხრულ კილოთაგან.

საკვანძო სიტყვები: ტაოური კილო, ფორმანარმოება, არსებითი სახელი, წრფელობითი ბრუნვა, ფუძე, კუმშვა, კვეცა, მრავლობითი რიცხვი.

ტაოურ დიალექტს ვუწოდებთ ისტორიული ტაოს მკვიდრთა მეტყველებას. ტაოური, ერთ დროს ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული ენის ქვესისტემა, დღეს გადარჩენილია ამიერტაოს ერთ ხეობაში გაშენებულ რამდენიმე სოფელში და ტაოსა და კლარჯეთის მოსაზღვრე სოფელ ბინათში. მიუხედავად ყველაფრისა, ჩანერილი დიალექტოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ტაოს ლინგვისტური პორტრეტი. კვლევაში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა 1995-2018 წლებში საველე ექსპედიციების დროს შეკრებილია ავტორთა მიერ.

სტატიაში საუბარია არსებითი სახელის მთავარ თავისებურებებზე ტაოურში.

1. ბრუნვები, მრავლობითი რიცხვი

ა) შეინიშნება თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი და წრფელობითი ბრუნვების მონაცვლეობის შემთხვევები. ფართოდ არის გავრცელებული სახელის ფუძის სახით ხმარება მოსალოდნელი სახელობითის ნაცვლად. ასეთი ფორმები ძველი ქართულის წრფელობითს უტოლდება (ცინცაძე 2002, 187).

მხოლოდითი რიცხვი:

ამით წყალ არ წამეღო; ქვედთ მეტ ხალხ არ ყოფილა; ბევრი ნადგომ ადგილია აქა; იქ, ქომო ელიასხევ არი; ჩემი ალასი? - თურან; ქართველი ვარ, ქართველ ვიყო (ელიასხევი); ართვინში ვერ მითქვია, ქართველ ვარო (ელიასხევი); ქედაზორ დაჰწერე? (წითლევეკარი); ეს სოფელი ორასი თუთუნი იყო უწინ, მარტო ბურსას ამ სოფლიდან სამასი თუთუნ არიან (ბასლეკარი); ამით წყალ არ წამეიღო, წყალი არი (წითლევეკარი); ორ წელწად იქნა ჩომოედით (ხევაძ); ფით წელწად ყოფილან (წითლევეკარი).

ბოლო მაგალითი დავიმონმეთ იმიტომ, რომ, როგორც წესი, დიალექტებში (და ხშირ შემთხვევაში სალიტერატურო ქართულშიც) ნორმით გათვალისწინებული მიცემითი ბრუნვის ნაცვლად გვაქვს სახელობითი.

ტაოურისთვისაც დამახასიათებელია პირდაპირი დამატების

სახელობითი ბრუნვის ფორმით შეწყობა პირველი სერიის მწკრივებთან; ამ შემთხვევაშიც სახელობითს ხშირად ენაცვლება წრფელობითი:

ჯამი ქომოა, ნამაზ კითხულობენ (ბინათი); ოჯალში სადგარ დავდგამთ (ბინათი); ...ინშაათი და ქოხებ აშენებდა (ქონობანი); ე ხევნარი ხიზრავს, ე ხიზრებ ლესავენ, ე თახთები გარენდებს... (ობლეკარი)...

ანალოგიური ფორმები ხშირია -ეზ'იან მრავლობითში:

სამ კაცებ არიან; აქ ტყეებ ყოფილა; ტახებ არიან; ეს მეზობლებ არიან; წყლებ აქიდამ მოდის; ბგანებ და, მე ერთი თანე ბგანო მყავს... (ობლეკარი); ახლა დათვებ არიან აქა (ფიშნარხევი); ხენჭებ ვერ ეპარაკებიან, ხთებიან (ხევაა); თევზებ არიან (ელიასხევი); წყლებ აქედან მიდის (ელიასხევი); აქ ტყეებ ყოფილა (ელიასხევი); ჩვენ კიდე ვიცით, ღენჭებ აღარ იციან გურჯიჯა (ბალხიბარი), ჩვენ ღარჭებ არ იციან (ხევაა); ახალმოსულებ აღარ იციან (ბალხიბარი)...

შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ბოლო სამ ფრაზაში ღენჭებ, ღარჭებ და ახალმოსულებ ენაცვლება სახელობითს და არა მოთხრობითს, რადგან ტაოურში ქვემდებარე ზოგჯერ მოსალოდნელი მოთხრობითის ნაცვლად სახელობით ბრუნვაშიცაა: მოზობლები ტიკით იფერხულეს (=იცეკვეს) (ხევაა).

ბ) ტაოურისთვის ჩვეულებრივია სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებზე -მ'ს(<ი'საგან) დართვა:

ჩემი ნენეა ჭიმჭიმულია (ბინათი); ჩემი დედეა და ნენეა ლაპარიკობდენ [ქართულად] (ბინათი); გურჯი სამი ქოა და მაჰალეზია (ელიასხევი); ...აჟდაა ნუმოდლო (ელიასხევი); აქეთ გეარს გზაა ართვინ გადავა (ქუაბაგი); ჩემი დედეა ბათუმ არი (ელიასხევი); ჩემი დედეა იყო იქ. ჩემი დედეა ათი წელწადი თუ იქნება, მოკდა (ცუცეკარი); ერთი დედეა მყავ ბათუმ (ელიასხევი); ჩემი დედეა იქ არი (ელიასხევი); ჩემი დედეა სექვზე დაბადულა ქვაბააში (ქისქიმი); ...ყამაღის ძირაა ყველი, ყველის ძირაა საჭმელი... (ელიასხევი); მარტო დედაა არი, დედაა ნახვარი ავათ არი (ქუაბაგი); მისი ბაბოა მომკდარა იქ (ქუაბაგი); ...მისინაა სარზე ებმება (ფიშნარხევი); ერთიც ტაა მყაუდა, ერთიც ჩემი ძმაა... (ქუაბაგი); ...ჩემი ანაა ბევრ იჯებოდა (ქონობანი); ჩემი ტადოა დიდაა, იმა ვუპოვოთ (ქისქიმი); მე მისი ხალაა ვარ (ფიშნარხევი); ესეც ჩემი ტადაა, ამის კაცია (ქუაბაგი); ...ახლა მივდივართ ასე, გზააა, ფეხი გზა,

გზა პატარა (ელიასხევი); მე აქ ერთი ქოძ არი, შუადერე ქვიან, იმ სოფლიდამ ვარა მეო (ქუაბაგი); აქ ქვადა და ბუქი, იმდაგვარ ქვაბად დუურქმიან (ქუაბაგი); ორი ბალანაა არიან (ხევეკი); არაბად მივა (ელიასხევი); დუა ვიკითხებდით (ქონობანი); ანა თუ კაია, ბგანოც კად იქნება (ქუაბაგი)...

საკუთარი სახელები:

თამარად იშტე გურჯის ფადიშაჰის ბგანუ... (მოსლიეთი); ჩვენი ჰუსეინა თუ? (ქუაბაგი.); ედა ჩემი უსეინა ავკობას იჯება (ცუცეკარი); ერთი რეჯებაა არი, ქეჩეჯი, ქეჩებ აკეთებს (ხევეკი); ღენჭები ოთხი... ერთი აჰმედად, ბლანო გათხოვილია (ქუაბაგი); ფერუზად დეკაცი ყოფილა, იქიდან ფერუზიანი (ელიასხევი); აიშოვ ჩელიქ, ლეილაა სალიყაია, ზეჰრა დინჩ (ქუაბაგი); აიშოვ. აიშოვ, აიშეფ, რა'ცხას დიმიძახეფ (ჭილათი); ...ძველათ ქუაბაგ ერქვა, ახლა ჯევად ლივანე (ელიასხევი); ქუაბად დორთ კილომეტრია აქედამ (ელასხევი); ქალოცად იცი? - თველია ქალოცად, იმ თვე მივდივართ (ქისქიმი); ქალოცად იყო. თვეები: ზეჰმერი, ქუჩუგი... ქირეზად, ჩურუგად, ...ხარმანა... (ელიასხევი); ძროხის სახელები გინდა? შველა, ფახლა, მიჭვრიტი (ბონმინდა)...

-მ' ერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სხვა მეტყველების ნაწილებსაც:

უკანა მაჰალე - ბასლეკარი (ბასლეკარი); სუყველა ერთია და ცოც-ცოტა აბი გვირევი (ელიასხევი); პეტრა ნაჯალია, დიდი - ცული (ელიასხევი); ის ჩემი ბიჭია, პეტრა (ხევეკი); ბალანაა არი პუტურა, ვერ გიმიგდია (ფიშნარხევი); მე ვიცოდე, მარტოდ დავთხრი (წითლეკარი); ამ ხელსა წინაა აქოს, უკანაა აქოს (დუგური).

ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი პირის მეტყველებაში დასტურდება ნიშნის და უნიშნო ფორმები:

ბოური ზე რომ შაადგება - გეუნე მაჰალე, ბოური ზე რომ არ შაადგება - გეზუე მაჰალე (წითლეკარი).

გ) ტაოურში სხვა სამხრული დიალექტების მსგავსად (იხ. შავშეთი 2011, 244; კლარჯეთი 2016, 545; ცინცაძე 2002, 189) ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში აქვთ ნიშანი -მა. მაჭახლელთა მეტყველებაში მოთხრობითი -მა' იშვიათადაა (მაჭახელი 2017, 220). -მა სუფიქსი ერთვის როგორც ქართულ, ისე თურქული ენიდან შემოსულ სახელებს.

საზოგადო სახელები:

სიძემა ხელი მტაცა; ბაბომა, ჩემ ბაბომა ასე ქნაო-და; ჩემ ბაბომა ასე ვესიათი ქნაო... (ქუაბაგი); ამის ბაბომა ბეური ლექსი იცის (ცუცეკარი); წუმამა გააფუჭა, წუმამა [ბალი] (ჭედლიანკარი); ...იმან გასხნა, ბგანომა, მუსაფირები მოდიანო (ბინათი); ანამა გურჯიჭა ბეური ხვარათი იცის (ხევაჲ); დედემა გაყო იშტე, სახლის თავადმა გაყო (სადგიყანა); ჩემმა ებემა თურქჩა არ იცოდა (ფიშნარხევი); ჩემი ქალის ბაბომა, ასი წლის იყო მოკტა, გურჯული არ იცოდა (იქვე)...

საკუთარი სახელები:

რეჯებამა თქუას; ამან, თუბამა, სარიგოლ იკითხა (ქონობანი); თამარამა არღი ააშენა, პარხალ ქილისა ააშენა... თამარამა (ელიასხევი).

ერთ შემთვევაში -მა სუფიქსი ერთვის თანხმოვანფუძიან სახელს (როგორც ჩანს, გაგებულია ხმოვანფუძიანად): მათი კამანდარი გურჯი იყო, ი გურჯიმა აქ აღარ გომოგზანა... (ქისქიმი).

ერთი ფორმა შეგვხვდა ხმოვანფუძიან სახელთან მოთრობითში -მან სუფიქსის დართვისა: ჩემ ნენემან არ იცოდა ქართული, არ უწავლია (ბინათი).

იშვიათად ხმოვანფუძიან სახელს ერთვის მ': იმხან ამბობდენ თამარამ მოყვანაო რუ (ხევეკი).

დ) მრავლობითი რიცხვის წარმოება. სახელების მრავლობითი ინარმოება -ებ, -ნ/-თ სუფიქსებით. სხვა სამხრულ კილოებთან შედარებით ნარ-თანიათი მრავლობითი ტაოურში პროდუქტიულია.

-ებ:

ერმენ ხევეკში ხრისტიანები არიან (ელიასხევი); ჩვენი დედეები, დიდვანი ბაბოები ბათუმიდამ მოსულან (ელიასხევი); ე ქალები დაბერნეს, აღარ ესმიან (ელიასხევი); იქ გურჯები არ არიან (ელიასხევი); კაკლები მოწვა (ბინათი); ასე დაწკარებული ვართ მეზობლები (ბინათი); ჩვენ დაშლები ვართა (ბინათი); ბაღნები არ მყავს (ხევეკი); ესენი ჩემი ნათესავები||ნათესები არიან ყოლანი (იეთი).

ტაოურში -ებიანი მრავლობითის ფორმით დასტურდება სახელები, რომელთაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით მრავლობითი არ გააჩნიათ:

ვაზები ყოფილა, გურჯები მოდიოდეს (ცუცეკარი); ...აქო ნაწოლი გულისთუნ ჩონი ხონნები გეგონეო (ელიასხევი); ძველ ზამანებში (=დროებში) ვინ გაკითხებს დეთიმ? (ბინათი); ჩვენი რახები კიდენ დარჩებოდა (ელიასხევი); მაშინ ბეური ფულები ქონებიან, ალთუნი ფულები (ელიასხევი)...

-ნ/-თ:

მოხუცნი იმღერებდეს (ხევეკი); ჩვენ ხისიმნი ვართ (ქუაბაგი); თქვენ გეცოდინებიან, ჩუენზე ნაკითხნი ხართ (ქუაბაგი); აქ ცხოვრობენ სულბიანნი, სალიანნი, ხოჯანნი,

აჯარები, ჭიკვალეები, მოლიანნი, დამალიანნი, კარჩხლიანნი... (ელიასხევი); გუდასხეველთა მეზრე არ აქვან, ბარი აქვან (ელიასხევი); საყდარზე ძველთ უნთიან, მუმი არ იყო, სხვა რამ უნთიან (ხევეკი).

ხშირად გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმები:

გურჯებთა უშენებიანო პარხალი (ხევეკი); ...სხვა დათვებთ აქვან დუგუნი (ხევეკი); ჭალებთ, ყანებთ ვწყავთა (გოდლეკარი); ქართველებთა უთქვიან მისთვის (ბინათი)...

შ. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ „ტაოში ჯერ კიდევ სრულად არ გაბატონებულა -ებ'იანი მრავლობითი, იმონებებს ორმაგი მრავლობითის ფორმებსაც: კაცებთა თელათ იციან (ფუტკარაძე 2016, 283). ჩვენი მხრით დავუმატებთ, რომ ტაოურში ხშირია თანიანი მრავლობითის მოთხრობითის ფორმები, რაც ძალიან იშვიათია თანამედროვე სამწერლობო ქართულში:

ბევრთ იპოეს ალთუნი (ცუცეკარი); გურჯიჯა მასზე პატიტვანთ, ნურილთ არ იციან; კაცებთ თელთ იციან; ჭილათში ღარჭებმა ზოგთ იციან გურჯიჯა, ზოგთ - არა; ქუაბელთ და ბალხელთა, ჳეველთა იციან (ქუაბაგი)...

მრავლობითი რიცხვის გარდა ზემოაღნიშნული წარმოებისა, რომელიც ჩვეულებრივია სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისთვის, ტაოურში არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება -ნარ' სუფიქსით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელების მანარმოებელია, „აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე: ნაძვნარი, ფიჭვნარი...“. ორიოდ შემთხვევაში -ნარ სუფიქსი ერთვის სხვა ტიპის სახელებსაც, როგორებიცაა მაგალითად: თიხა, ქვიშა, ქვა... (შანიძე 1973, 145).

-ნარ' სუფიქსით მრავლობითი რიცხვის გამოხატვა სხვა დიალექტებისათვის უცხოა. ტაოელთა მეტყველებაში -ნარ' სუფიქსიანი სახელები, რომ ნამდვილად მრავლობით რიცხვს აღნიშნავენ ამის დასადასტურებლად პირველ რიგში დავიმონებთ ინფორმატორის განმარტებას:

თეფენ მაღალი ადგილია, თევნარი - ბევრი თაა (ელიასხევი); იქობაში - თევნარში აძოვებდეს (ქონობანი); თევნარში გოლი არი (ბასლეკარი); ჩვენი ქი გურჯები თევნარი გუხარდებიან, მაღლა'ნა იყვენ (ხევეკი); აქ ბევრი ხევნარი ყოფილა, ჩიტი ვერ გაძრებოდა (ხევეკი); ...მერე ჩომოხვალ, იქო მწვანეები და ხევნარი, ის არის დეთის ველითაჲს საყდარი (ქუაბაგი); ბიჭი ერთ თანე ...გზევნარ იჯება, გზევნარ აშენებ[ს] (ქისქიმი); ...აქ

გზევნარ ვაკეთებ, ხიდები არი... (ფიშნარხევი); გზევნარი კადა, ბეჩი არ არი (წითლევეკარი); ახლა გზევნარი მოვდა... (ქუაბაგი); კვი იცი? ნაძვი ხევნარზე იქნება (ელიასხევი); ყვერევნარი თავრობამ აშენეს (ხევეკი); წინაზე ბევრი ტყევნარი ყოფილა, უჭრიან (ქუაბაგი); ტყევნარში იქნებოდეს (იეთი); თეფევნარია აქა, თქვენი სოფლის თეფევნარი ჩანს (ქუაბაგი); იქეთ კალოვნარია - ჯარებ ვამუშავებდით (ქუაბაგი); ძველი დღევნარი მომაგონეთ (ბალხიბარი); ბევრი ბეჩი კილდევნარში წყალი მუყყვანია სავრიათ... (ხევეკი); ბოვრი ბეჩი კელდევნარი, წყალი მუყყვანია... (წითლევეკარი).

2. სახელის ფუძე. თანხმოვანფუძიანია ზოგი სახელი, რომელთაც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ფუძე -ა ხმოვანზე უთავდებათ. ასეთებია - ძენნი (>ძენკნი, შდრ. ძენნა), პეპელი (შდრ. პეპელა), მელი (შდრ. მელა). ამავე რიგისაა კალი (<კალია):

პეპელი არი, ფრინავს, კალი ხტის (წითლევეკარი); მელი არი, კურდღელი არი... (ფიშნარხევი); მელი არი, გელი არი აქა... ძენნი - სოგითი (ქისქიმი); ეს ძენკნია, ძენკნი, ასკილი, ტირიფი, კაკალა (ცუცეკარი) (ცინცაძე 2002, 189).

აქვე შევნიშნავთ, რომ ძენნი'ს პარალელურად დადასტურდა ძენანი': ძენანი ხე, სოგუთი, ასკილი... (იეთი).

არის პირიქით შემთხვევებიც - ზოგი თანხმოვანფუძიანი სახელი ტაოურში ხმოვანფუძიანია, ასეთებია: კაკალა, ქედა:

აჲ კაკალა ...კაკალი ხეა (ელიასხევი); კაკალა, ტყიმალი, ძენკნი, არდუჩი, შავი ველად... (ელიასხევი); ეს ძენკნია, ძენკნი, ასკილი, ტირიფი, კაკალა (ცუცეკარი); აქ ყოლი რამ არი, კაკალაზე მისლამდი, შინდზე მისლამდი (ცუცეკარი); ეს კაკალაა, ის მუშმულაა (ცუცეკარი); მთის უკან ქედა არი, ჭილჭიმი, ახლა ჯევიზლი (ბინათი).

სალიტერატურო ქართულში არსებულ თანხმოვანფუძიან ანთროპონიმებს ტაოურში დაერთვის -ა' ხმოვანი და იქცევა ხმოვანფუძიან სახელად. ეს მოვლენა დამახასიათებელია საერთოდ სამხრული მეტყველებისათვის (იხ. მაჭახელი 2017, 221; კლარჯეთი 2016, 545).

ხელები დაძრომია თამარას გაგზანილ კაცსა (ელიასხევი); ჩვენი ჰუსეინად თუ? (ქუაბაგი); ჩემი უსეინად ავკობას იჭება (ცუცეკარი); ერთი რეჭებად არი, ქეჩეჭი, ქეჩებ აკეთებს (ხევეკი); ღენჭები ოთხი... ერთი აჰმედად... (ქუაბაგი)...

იშვიათად ამ ჯგუფის სახელები თანხმოვანფუძიანია:

წამოსლა მინდა და არ მცალია, მევლუდმა იცის (ხევეკი).

ტაოურშიც, ისევე როგორც საერთოდ სამხრულ დიალექტებში, ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი სხვადასხვა ხმოვნით ბოლოვდება, ეს მოვლენა განსაკუთრებით თურქულიდან შემოსულ სახელებს ახასიათებთ (შავშეთი 2011, 243; მაჭახელი 2017, 224).

აიშო//აიშე: აიშოდ. აიშოდ, აიშედ, რა'ცხას დიმიძახედ (ჭილათი).

ბგანო//ბგანუ: ჩუენ „ზგანო“ ვეტყვით, თქუენ – გოგო (ბონმინდა); თამარად იშტე გურჯის ფადიშაჰის ბგანუ... გურჯისტანის ფადიშაჰის ბგანუ (მოსლიეთი).

მეზრე//მეზრა: დედა-მამა მეზრეში არ არიან (ქუაბაგი); აქ ერთი მეზრა არი, კუპრეთია მისი სახელი (ელეასხევი).

ქილისა//ქილისე (თ. kilise): გახველით პარხალ? იქა დიდი ქილისე არი (ბასლეკარი); ქილისე ყოფილა (ქუაბაგი); ინტკორში ქილისა არ იყო (ქუაბაგი); დორთ ქილისა ეტყვიან ახლა (ბასლეკარი).

ერთი და იგივე სახელი ორგვარი დაბოლოებით (თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი) არის წარმოდგენილი:

ცერცვი//ცერცვა: ქერი, ცერცვი, შავი ცერცვა, ქართოლი... ლობიო ვთესევდით, ლახანა (იეთი);

დევი//დევე: ისე დიდ კაც დევე ვეტყვით. დიდი კაცი, გძელი კაცი, ჩვენ დევი ვეტყვით, დევეკაცი (ფიშნარხევი).

გზაბანარი//გზაბანარად: ფეხი გზაა, გზაბანარად (ელეასხევი); იქ გზაბანარზე გეძარებენ წარები (ელეასხევი).

თენჯერი//თენჯერე (თ. tencere): ...მას უკან თენჯერში სოლანი'და მოხრაკო... მემრენ ლებუო ჩაყარე თენჯერეში... (ქისქიმი).

ჭამე//ჭამი (არ. cami): ...ჭამი ქომოა, ნამაზ კითხულობენ, ჭამში ვინმე წიგყვანდეს არაბით, ვილოცავთ (ბინათი); ჰო, სოფელი ძველია, ჭამე სამი ასი წლისაა (ბინათი).

მეტრი//მეტრო: თოვლი დიდი იყო, სამი მეტრო, ოთხი მეტრო (იეთი); ორი მეტრი თოვლი მოდის (ელეასხევი).

3. მავრცობი ხმოვანი. მავრცობი ხმოვანი -ა' დამახასიათებელია სამხრული მეტყველებისათვის, იგი განსაკუთრებით პროდუქტიულია მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში (შავშეთი 2011, 245; კლარჯეთი 2016, 546; მაჭახელი 2017, 222). ასევეა ტაოურშიც. დავიმონებთ მაგალითებს:

ლებიოში გურევთ მარქვალსა (ქონობანი); შინებიან ხალხსა ქი (ელეასხევი); სამოცი და ოთხი წლისა ვარა და... (ცუცეკარი); ...რუსებსა მუხებით ქალებითინ ხელები უსიან (ქუაბაგი); ამ ხესა? გურჯიჭა ბრენეული... (ჭილათი); გზაჩი შააგებებენ ბიჭსა... (ცუცეკარი); კი ქალსა ჩუსმენ ბიჭსა (ცუცეკარი); ხელები დაძრომია თამარას გაგზანელ კაცსა (ელეასხევი); იმ ქეშიშსა მის ბაღვითვინ უთქვია... (ბასლეკარი); დათვსა ეტყვის იბრაიმიან ბებერი... (ხევეკი); დოხ, დოხ, სიძისა არ არი დადე (ცუცეკარი); ...მარქვალი არი, ბიბერი, წითელისაც არი, მწვანესაც არი, ლახანა... (ქონობანი).

იშვიათად მავრცობი არის მოქმედებით ბრუნვაში, მონაცვლეობს მავრცობიანი და უმავრცობო ფორმები:

კედლები ხიზრით დავხიზრავდით, ...ხიზარით დავხიზრავდით, ხიზრითა... (ქუაბაგი); ბებერი გაპარცავს დათვსა, მერე გაჩეჩავს, შექნის ნართსა, დართავს კედს (ხევეკი).

4. კუმშვა. სალიტერატურო ქართულის მიხედვით კუმშვადი არსებითი სახელები ტაოურში უკუმშველია, ეს მოვლენა ჩვეულებრივია სამხრული მეტყველებისათვის (იხ. შავშეთი 2011, 245; კლარჯეთი 2016, 546; მაჭახელი 2017, 219).

პარხალის ზედან პუტრუდ ქილისე იყო, დედნგრა (წითლეკარი); ...თოვლი - ფად წუმუა, წყალიდან - ღვარი წუმუა (დუგური); თქუენში ესე ცივი წყალები არი? (ქისქიმი); სამი ხანე, ხუთი ხანე სომეხები იქნებიან (ხევეკი).

შეკუმშავი ფორმების გვერდით გვხვდება შეკუმშულიც: ერმენები ყოფილან, სომხები ყოფილან (ელიასხევი).

თუმცა იკუმშება ზოგი უკუმშველი არსებითი სახელი:

...შიშა მუუგროვებია, ნაძვის ტლები (ხევეკი); კვეთი რა არი? ნაწვლით კეთდება? (ქისქიმი).

არსებითი სახელი ბებერი' შეკუმშულია სახელობით ბრუნვაში:

ამისი ებეა ადგა, ჰოუ? ბებრი ყოფი'ლა, ადგა და დეაქირეს... (ხევეკი).

მხოლოდ ტაოურში შეგვხვდა ლექსიკური ერთეული სახელი' შეკუმშული ფორმით, იკუმშება სახელობითსა და -ეზ'იან მრავლობითში:

ენ წინ მიღეთი ყოფილა, ბასლეთები ყოფილა, მიღეთის სახლი - ბასლეთები, იმ ბარზე ემეა, სოფლების სახლები და უკანაჲ კარი; ...რომელცხა მიღეთი არი, იმათი სახლები - კარი (ბასლეკარი); ქორიათი (გურჯიჯა სახლებია ბოინა), ბალხიბარი... (ქონობანი); ჩვენი სახლები გურჯია (ქუაბაგი).

ნასესხები არსებითი სახელები, რომელთა ფუძეები აგებულებით კუმშვადია, ექვემდებარებიან ქართულ ენაში მოქმედ წესებს - იკუმშებიან:

ჭალაჲდა მოჭრას თირფნით. ზოგი თირფნით, ზოგი მანგლით (ცუცეკარი); წითლეკარის ლაღებია: ჭარაბიანნი, მანასიანნი... (წითლეკარი); ...მარტო მარქვლი ფორვა ვიქთა (ქონობანი); მასკვა ჩამოსულან ასკრები... (ქისქიმი); აჰადა ფიდნებ ვწყავ (ბალხიბარი).

შეკუმშული ფორმების გვერდით დასტურდება ერთი და იმავე სახელის შეკუმშავი ფორმები:

ასკერების თავი გურჯი ყოფილა (ელიასხევი); თურქეთიჩი გუმუჟვლიან რუსის ასკერები სუყველა (ელიასხევი).

5. კვეცა. უკვეცელია სალიტერატურო ქართულის ნორმის მიხედვით კვეცადი სახელები, ეს წესი თანაბრად ვრცელდება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ გეოგრაფიულ სახელებზე. ასეა ეს სხვა სამხრულ კილოებშიც (იხ. შავშეთი 2011, 246; კლარჯეთი 2016, 546; მაჭახელი 2017, 219-220):

...ონდასონრა გააპტყელო'ნა უწრაფთა (ქონობანი); მამაღს დედა არ ილაპარაკებდა; თქვენ მანქანათ მოხველით თუ? (ობლეკარი); ძველათ პატიკად ზგაფთ ნევდოდით ჭილჭიმს (ბინათი); მთადამ ჩამოვტანეთ, დავიზბრეთ (ობლეკარი); მამასი აღაღ იყო; მე აქო ქოხი ვაშენებ, ხედამ, თახთადამ (ობლეკარი); ბეჭირი ჩემ მამას დის ბერია (ქუაბაგი); შდრ.: ძველი აქა ჩვენი მამის დედაები არიან (ელიასხევი); ჩვენზე პეტრეები არ იციან [გურჯული] (ბინათი); სარაკუნაები, სარაკუნაები არ აში'ნებთ (ცუცეკარი).

დევესეკარაღს ბარის სოფლები მე გითხრა შენ... (ხევეკი); ოთხი თანე ძმა მოსულა აჭარადამ (ფიშნარხევი); ჩვენი დედეები აჭარადამ მოსულ არიან (ელიასხევი); იმეთი ჩვენი დედეები ყოფილან იშტე აჭარადამ მოსული (ელიასხევი); ჩვენი დედეები ორთა აზიადამ მოსულან (ობლეკარი); ბორჩხაიადამ მოდიან... (ბინათი). შდრ.: ბორჩხადან ჩემი ბერია (ფიშნარხევი).

უკვეცელია თურქული სახელები:

თევზს კანჯაფთ ვიჭირავთ (ფიშნარხევი); ანაღს ბეზის ქენარი დედნახე, ანაღ დედნახე (ქუაბაგი).

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი თურქული სახელი არაბა':

იმა ზურგით მუუტანია, ჩვენ არაბაფთ ვერ მოვტანთ იმა (ფიშნარხევი); მახათეთ არაბაფთ დადის ჩემი დეგანი (ელიასხევი); შდრ.: ჯამში ვინმე წიგიყვანდეს არაბით, ვილოცავთ (ბინათი).

როგორც ვხედავთ, ტაოურში უმრავლეს შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ძველ ვითარებას გვიჩვენებს: -ის'>-ღს', -ით'>-ფთ'. -ღს', -ფთ' ნორმაა ფუძეუკვეცელ სახელებში:

თამარაღს წყალი სავრიათ ხედამ დევთისას მივა (ელიასხევი); გოგოღს სახში წევაღთ (ბინათი); ი სავარცხელი დიდი ოქროფდან ყოფილა (ხევეკი).

მხოლოდ იკვეცება, არ იკუმშება კაკალა': აფ კაკალა... კაკალი ხეა (ელიასხევი). დაკარგულია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის



თანხმოვანი; მოსალოდნელი იყო შეკუმშულიყო კიდეც: კაკლი(ს). ასეთი ფორმები უცხო არაა სამხრული მეტყველებისთვის. შდრ.: ბაჯალა - ბაჯლის, ლახანა - ლახნის, ბალანა - ბალნები (შავშეთი 2011, 246). შდრ.: ასევე: კაკალი' - ნაყოფი: ვაშლი-მაშლი სავსე, ჰამა არ ასხია, კაკლები მონვა, ერთი თანე არ არის...(ბინათი)...

როგორც დავინახეთ, არსებით სახელთა ფორმანარმოების მხრივ ტაოური განსხვავდება სხვა სამხრულ კილოთაგან.

დამონმებანი

კლარჯეთი 2016 - მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი.

მაჭახელი 2017 - მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, მაია ბარამიძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ მგელაძე, რუსლან ბარამიძე, ქართველმუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში, წიგნი პირველი, მაჭახლელი მუჰაჯირები, ბათუმი.

ფუტკარაძე 2016 - შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი.

შავშეთი 2011 - თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარმამია ფალავა, ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

შანიძე 1973 - აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ცინცაძე 2002 - მერი ცინცაძე, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება (წინასწარი მოხსენება), ბსუ, მემედ აბაშიძის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული II, ბათუმი.